თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს
ზ. მ.-ს

მოსარჩელის ჯ. ჭ.-ს სარჩელთან დაკავშირებით
საქმე N

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ზ.,

საქართველოს სახალხო დამცველს N10903/22 განცხადებით მომართეს ჯ. ჭ.-ს წარმომადგენლებმა თ. კ.-მ და რ. მ.-მ (ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“), რომლებიც მიიჩნევენ, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ახლო ნათესავთან შეხვედრის (პაემნის) შესაძლებლობით სარგებლობისას, მოსარჩელე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას დაექვემდებარა. ამავე განცხადებით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი და ეთხოვა აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა. საქმეზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახური. დავის საგანია დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება **(Amicus Curiae)**. იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის პრაქტიკა ცხადყოფს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს მუდმივად უწევთ ბრძოლა როგორც გარემოზე წვდომის, ისე - სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო მომსახურებით სხვა პირთა თანასწორად სარგებლობისთვის,[1] სახალხო დამცველი სისტემატურად უსვამს ხაზს სახელმწიფოს მხრიდან იმ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელს უშლის, შეთავაზებულ სერვისებსა და კანონით გარანტირებულ უფლებათა რეალიზების შესაძლებლობებზე წვდომაში. ამ კუთხით, განსახილველ სასამართლო დავას, შესაძლოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში,

[1] იხ. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სს „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Jqj8Ec; საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ypIBY8; საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZwuNar

ვინაიდან საკითხი შეეხება მისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფას არა საჯარო სივრცეში, რაც მეტად ხშირად ხდება ხოლმე შეფასების საგანი, არამედ ნაკლებად ნაკვლევ და მეტად სპეციფიკურ სივრცეში - თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე. ამავდროულად, პენიტენციურ დაწესებულებაში ოჯახის წევრთა ვიზიტის კუთხით არსებული დაბრკოლებები, შესაძლოა, უარყოფით ზეგავლენას ახდენდეს არა მხოლოდ პატიმართა ნათესავების ინტერესებზე, არამედ - მსჯავრდებულთა უფლებებზეც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტით სახალხო დამცველი, როგორც ინსტიტუტი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და შშმ პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციებს, სასამართლოს წარუდგენს საქმისათვის რელევანტურ სტანდარტებსა და ფაქტობრივი სახის ინფორმაციას, რომელთა იდენტიფიცირება უმნიშვნელოვანესია პატიმართა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის კონტექსტში.

1. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე არის ეტლით მოსარგებლე პირი, რომელიც 2022 წლის 18 თებერვალს პატიმრობაში მყოფი ოჯახის წევრის (შვილი) მოსანახულებლად იმყოფებოდა ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის N11-ში მდებარე პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N8 დაწესებულებაში (ნაწილი). თუმცა, შვილთან შეხვედრა ვერ შეძლო, ვინაიდან, მოსარჩელის განმარტებით, დაწესებულებაში არ იყო უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლეთათვის მისაწვდომი გარემო[2] ან პერსონალური დამხმარის თანხლების შესაძლებლობა.[3] სანაცვლოდ, მას შეეთავაზა ღირსების შემლახველი და საფრთხის შემცველი გადაადგილება, რაც გულისხმობდა შეხვედრების ოთახამდე დაწესებულების სხვადასხვა სექტორის თანამშრომელთა მხრიდან მონაცვლეობით გადაყვანას სტანდარტული სკამის საშუალებით.[4] შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას, სხვა ვიზიტორებისგან განსხვავებით, გაუმართლებლად შეეზღუდა პენიტენციურ დაწესებულებაში ოჯახის წევრთან შეხვედრის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას უკავშირდება. სარჩელში, დამატებით, აღნიშნულია, რომ ჯ. ჭ.-ს მეორე შვილიც დაკავებულია და სასჯელს იხდის გლდანის N8 დაწესებულებაში, რომელიც, აგრეთვე, მიუწვდომელია; თუმცა, ხსენებულ დაწესებულებაში მას პერსონალური დამხმარის თანხლებით გადაადგილების შესაძლებლობა ეძლევა.

თავის მხრივ, მოპასუხე სარჩელს არ ცნობს და სარჩელის დიდ ნაწილს არარელევანტურად მიიჩნევს, მიუთითებს რა, რომ, სამართლებრივი არგუმენტაცია, მეტწილად, ღია მომსახურებების შეთავაზებისას, კერძო და საჯარო პირების, საზოგადოებრივი საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ვალდებულებებს ეთმობა მაშინ, როცა განსახილველი

---

[2] შიდა სივრცის გასასვლელების სივიწროვე და არსებული ზღურბლები შეუძლებელს ხდიდა ეტლით გადაადგილებას.

[3] დაწესებულებაში აკრძალულია ნებართვის არმქონე, გარეშე პირის დაშვება.

[4] როგორც მოსარჩელეს განემარტა, დაწესებულებაში აკრძალულია, ასევე, ერთი სექტორის თანამშრომლის სხვა სექტორში გადასვლა.

საქმე დახურულ დაწესებულებას ეხება. მოპასუხე აღნიშნავს: *„პენიტენციური დაწესებულება თავისივე შინაარსიდან და ფუნქციიდან გამომდინარე დახურული ტიპის სტრუქტურაა. იგი არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის ღია დაწესებულებას, როგორებზეც საუბარია შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და შშმ პირთა უფლებების კომიტეტის გადაწყვეტილებებში. მოსარჩელის მიერ მითითებულ მაგალითებში, კანონი და სასამართლო პრაქტიკა ავალდებულებს სახელმწიფოს შექმნას შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრება კი მოიცავს სწორედაც რომ საზოგადოებისათვის ღია ადგილებს. როგორებიცაა საზოგადოებრივი საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო და კერძო სტრუქტურები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საზოგადოებისათვის ღია სერვისები და ასე შემდეგ.“*

თანმხლებ პირთან დაკავშირებით, სპეციალური პენიტენციური სამსახური ხაზს უსვამს დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შემსვლელ/გამომსვლელ პირთა გადაადგილებაზე დაწესებულ მკაცრ კონტროლს, რომლის ფარგლებშიც, დაწესებულებებში შესვლის უფლება, დაწესებულების დირექტორის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ეძლევათ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავებს.[5] მოსარჩელისთვის შეთავაზებული ალტერნატივის თაობაზე კი, აღნიშნავს, რომ, შესაბამის მომენტში, დაწესებულების მოსამსახურეები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით, რაც ვერ შეფასდება ღირსების შემლახავ ქმედებად, ვინაიდან შეთავაზება მიმართული იყო არა პირის დამცირებისაკენ, არამედ - ჯ. ჭ.-სთვის დახმარების გაწევისკენ. ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს სამსახური დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებითაც, რასაც, აგრეთვე, მიზანს უკავშირებს და შემდეგი საფუძვლით გამორიცხავს: *„გაუგებარია, რა მსგავსი მიზანი უნდა ჰქონოდათ დაწესებულების მოსამსახურეებს ჯ. ჭ.-სადმი განსხვავებული მოპყრობა რომ განეხორციელებინათ.“*[6]

მოპასუხე არ ეთანხმება, აგრეთვე, სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებს, რომ ჯ. ჭ.-მ 2022 წლის 18 თებერვალს თავად განაცხადა უარი დაწესებულებაში შესვლაზე, ვინაიდან მას არ სურდა საკუთარი ეტლის გამოყენება[7] და ითხოვდა დაწესებულებაში მხოლოდ პერსონალურ დამხმარესთან ერთად გადაადგილებას. გარდა ამისა, დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე არამისაწვდომი ინფრასტრუქტურის თაობაზე მოსარჩელის აპელირების

---

[5] მოპასუხე მიუთითებს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებაზე და პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტზე.

[6] შესაგებლის 9-10 გვერდები.

[7] აღსანიშნავია, რომ შესაგებელზე თანდართული N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მოადგილის 2022 წლის 29 ივნისის N192445/24 წერილის თანახმად, 2022 წლის 18 თებერვალს ჯ. ჭ.-მ განაცხადა, რომ შშმ პირთათვის განკუთვნილი ეტლი არ ჰქონდა.

საპირისპიროდ, სპეციალური პენიტენციური სამსახური, დაწესებულებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,[8] ასახელებს 3 შემთხვევას, როდესაც ჯ. ჭ. დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდა და შეძლო შვილის ნახვა პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახში - 2022 წლის 22 მარტსა და 25 მაისს საკუთარი ეტლით, 2022 წლის 28 ივნისს კი, დაწესებულების კუთვნილი ეტლით.

მოსარჩელე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს უარყოფს და ხაზს უსვამს, რომ ჯ. ჭ.-მ მნიშვნელოვანი ხარჯი გაიღო საცხოვრებელი ადგილიდან (აჭარა) პენიტენციურ დაწესებულებამდე მგზავრობისთვის;[9] შესაბამისად, რთულად წარმოსადგენი იქნებოდა, რომ შვილის სანახავად დაწესებულებაში შესვლაზე უარი თავად განეცხადებინა. რაც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დასახელებულ სხვა ფაქტებს, შესაგებლის საპასუხოდ წარმოდგენილ განცხადებაში, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ხსენებულ შემთხვევებში ვიზიტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმის თანხლებით განხორციელდა, ვინაიდან არაადაპტირებული გარემოდან გამომდინარე, ეტლი კარში არ შეეტია და დაწესებულების თანამშრომლების მიერ ხელით გადაყვანისას, მას ფეხი დაუზიანდა; ხოლო, უშუალოდ შეხვედრების ოთახში ვერ ხერხდებოდა ტელეფონთან წვდომა, რადგან ოთახი იყო ვიწრო და ოთახში სკამი იყო ჩამაგრებული. ამასთან, მოსარჩელე სწორედ რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების ობიექტებად აღქმას მიიჩნევს დამამცირებელ, სტერეოტიპულ დამოკიდებულებად.

2. სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, *“საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.”*

საკითხის მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

---

[8] N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მოადგილის 2022 წლის 29 ივნისის N192445/24 წერილი.

[9] კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ადაპტირებული საქალაქთაშორისო ტრანსპორტი არ არსებობს, იქირავა მანქანა.

3. სამართლებრივი შეფასება

მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან გამომდინარე, სასამართლო დავის გადასაწყვეტად საკვანძო საკითხებს წარმოადგენს შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით, დახურული ტიპის დაწესებულებების მიმართ მოქმედი ვალდებულებები და პენიტენციურ დაწესებულებაში მისაწვდომობის კუთხით არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. შესაბამისად, სახალხო დამცველი, ერთი მხრივ, ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, რელევანტური სტანდარტების იდენტიფიცირებას მოახდენს, მეორე მხრივ, კი, ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენის მიზნით გასათვალისწინებელ გარემოებებს გამოკვეთს.

როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლიც მიუთითებს, თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონტექსტში: *სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.* შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (შემდგომში - კონვენცია), შეზღუდული შესაძლებლობის გამო ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაცია ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევად არის აღიარებული.[10] აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც კონვენცია, ისე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, უმთავრეს მიზნად ისახავს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის მისაწვდომობას.[11] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელების უპირველეს გარანტიადაც ამ უფლებების სხვებთან თანასწორად რეალიზების უზრუნველყოფა მოიაზრება.[12]

3.1. საპატიმრო დაწესებულებების მისაწვდომობა

კონვენცია პირდაპირ ადგენს, რომ *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის* ***თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში,*** *მონაწილე სახელმწიფოები მათ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თანაბარი გარანტიებით და მათდამი მოპყრობაში გამოიყენებენ <u>წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს</u>* [რომელთა რიცხვშია, მათ შორის: ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა; დისკრიმინაციის დაუშვებლობა; თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; მისაწვდომობა და სხვ.],[13] *გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.*[14] ხოლო, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს

---

[10] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, პარ. h.

[11] იქვე, მუხ. 1; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 1.

[12] იქვე, მუხ. 3, პუნ. 1.

[13] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 3.

[14] იქვე, მუხ. 14, პუნ. 2.

უშუალოდ **სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვალდებულებას**, უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დაცვა, მისი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.[15]

ამასთან, კანონის 21-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, უზრუნველყოს <u>არსებული</u> და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის **უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, <u>თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის</u> უზრუნველსაყოფად. კანონისა და კონვენციის თანახმად, უნივერსალური დიზაინი განიმარტება, როგორც *პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მათზე სპეციალური ადაპტირებისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე წვდომის საშუალებას. უნივერსალური დიზაინი არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვაგვარი ხელშეწყობის გამოყენებას.*[16] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი უნივერსალური დიზაინის განუხრელ შესრულებას არსებითად მიიჩნევს ყველა პოტენციური მომხმარებლისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, სრული, თანასწორი და შეუზღუდავი მისაწვდომობის გარანტირებისთვის.[17] უნივერსალურმა დიზაინმა ხელი უნდა შეუწყოს პირის ერთი ადგილიდან მეორეზე **(მათ შორის, კონკრეტულ სივრცეშიც)** გადაადგილებას შეუზღუდავად, ბარიერების გარეშე.[18]

განსახილველ საკითხს კიდევ უფრო მეტად აზუსტებს კომიტეტის განმარტება, რომ კონვენციის მე-9 მუხლში (მისაწვდომობა) მითითებულ შიდა და გარე ობიექტებში იგულისხმება, მათ შორის, სამართალდამცველი უწყებები, სასამართლოები, **ციხეები** და სოციალური დაწესებულებები[19] - *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ზომები, რომლებიც მოიცავენ არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-აღმოფხვრას, შეეხება: a. შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, <u>შიდა და გარე ობიექტებს</u>, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო*

---

[15] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 25, პუნ. 2.

[16] იქვე, მუხ. 2, პუნ. „დ“; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 2.

[17] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2 (2014) მისაწვდომობის შესახებ, CPRD/G/GC/2, პარ. 15.

[18] იქვე.

[19] იქვე, პარ. 17.

დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს; b. ინფორმაციას, კომუნიკაციასა და სხვა სამსახურებს, ელექტრონულ და სასწრაფო-საავარიო სამსახურებს.[20]

კომიტეტმა მნიშვნელოვანი შეფასებები გააკეთა, აგრეთვე, არგენტინის წინააღმდეგ წარდგენილი შეტყობინების[21] შესწავლის შედეგად, რის საფუძველზეც, მიუთითებს რა კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტზე,[22] აღნიშნავს, რომ *მისაწვდომობა კონვენციის ზოგადი პრინციპია და, როგორც ასეთი, ვრცელდება, აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებზე. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ* ***საპატიმრო დაწესებულებების მისაწვდომობა*** *ყველა თავისუფლებააღკვეთილი შეზღუდული შესაძლებლობის პირისთვის. შესაბამისად, <u>სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, მისაწვდომობის კუთხით არსებული წინაღობებისა და ბარიერების იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრის ჩათვლით</u>, რათა თავისუფლებააღკვეთილ შეზღუდული შესაძლებლობის პირებს დაკავების ადგილებზე შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტში სრულყოფილი მონაწილეობა; ასეთი ღონისძიებები მოიცავს, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, მათი წვდომის უზრუნველყოფას სხვადასხვა სივრცესა და სერვისზე, როგორებიცაა: სააბაზანოები, ეზოები, ბიბლიოთეკები, სასწავლო სივრცეები, ხელობისთვის განკუთვნილი სივრცეები და სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული სერვისები.*[23] შედეგად, კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-9 მუხლის (მისაწვდომობა) 1(a) და (b) პუნქტებითა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა. გარდა ამისა, მისაწვდომობის და გონივრული მისადაგების საკმარისი დონის არარსებობის გათვალისწინებით, კომიტეტმა მიიჩნია, რომ განმცხადებელი დაკავების არასათანადო პირობებში იმყოფებოდა, რაც შეუსაბამო იყო კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებასთან (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს საკუთარი ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობის პატივისცემის თანაბარი უფლება).[24]

გარდა ამისა, კომიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შესახებ, რომელშიც ხაზს უსვამს მის რეკომენდაციებს, სახელმწიფოებმა უზრუნველყონ დაკავების

---

[20] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 9, პუნ. 1.

[21] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, N8/2012 შეტყობინება, CPRD/C/11/D/8/2012, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ybBFh4

[22] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები მათ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თანაბარი გარანტიებით და მათდამი მოპყრობაში გამოიყენებენ წინამდებარე **კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს**, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.“

[23] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, N8/2012 შეტყობინება, CPRD/C/11/D/8/2012, პარ. 8.5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ybBFh4

[24] იქვე, პარ. 8.6.

ადგილების მისაწვდომობა, გონივრული მისადაგება და ციხის თანამშრომლების გადამზადება კონვენციით დადგენილი სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.[25]

გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინების ვალდებულებაზე ხაზგასმას ვხვდებით უშუალოდ დაკავების ადგილებთან დაკავშირებით არსებულ წყაროებშიც.[26] პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების („ნელსონ მანდელას წესები") თანახმად, ***ციხის ადმინისტრაცია*** *ვალდებულია საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მოარგოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტური და თანაბარი წვდომა ციხის ცხოვრებაზე.*[27] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს შემუშავებული აქვს სპეციალური სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმართა შესახებ, რომელშიც ცალკე თავი ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს.[28] მათ შორის, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პატიმართა დისკრიმინაციის ჭრილში, ყურადღება ეთმობა არქიტექტურულ ბარიერებს და მნახველებისთვის განკუთვნილ ოთახებზე წვდომის საკითხს, ასევე - ეტლის ფლობის ან სათანადო ალტერნატივების უზრუნველყოფის ვალდებულებას.[29] სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა, მაგალითად, საკნებში მოაჯირების განთავსება და ეტლით მოსარგებლეთათვის წვდომის ხელშესაწყობად პორტატული პანდუსების გამოყენება და გაწერს შესაბამის რეკომენდაციებს.[30]

მსგავსია ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სტანდარტებიც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პატიმრობის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი პირობების ან/და მისაღები განთავსების ადგილის მიუწოდებლობა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას წარმოადგენს.[31] ამასთან, მაგალითად, საქმეში *გრიმაილოვსი ლატვიის წინააღმდეგ* სასამართლომ ყურადღება მიაპყრო ციხის მთელი ინფრასტრუქტურის მისაწვდომობას და ხაზი გაუსვა, რომ ეტლით მოსარგებლე მოსარჩელისთვის მიუწვდომელი რჩებოდა ისეთი

---

[25] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შესახებ, პარ. 17, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YnUUib

[26] იხ. მაგალითად, წამების პრევენციის ასოციაცია (APT): http://www.apt.ch/en/knowledge-hub/detention-focus-database/material-conditions-detention/accommodation

[27] „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები", გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 70/175, წესი 5.2.

[28] სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმართა შესახებ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), 2009, გვ. 43-55, ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf

[29] იქვე, გვ. 45, გვ. 50.

[30] იქვე, გვ. 51, გვ. 54.

[31] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), გვ. 77, პარ. 93, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/ODIHR_MR_Guidance_Doc_Georgian_AW_WEB_MR.pdf

ადგილები, როგორებიცაა: სასადილო, საპირფარეშო, საუნა, ბიბლიოთეკა, მაღაზია, სპორტ-დარბაზი, **შეხვედრების ოთახი** და ტელეფონის ოთახი.[32] გარდა ამისა, სპეციალური საჭიროებების სათანადო უზრუნველყოფად არ მიიჩნევა ნებაყოფლობითი დახმარება იმ პირთაგან, რომლებიც არ არიან გადამზადებულნი და არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია.[33]

როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კომიტეტი მიუთითებს, <u>თავისუფლებააღკვეთილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართებით ყოველთვის უნდა იყოს დაცული თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების ფუნდამენტური პრინციპები</u>.[34] ამასთან, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევების თავიდან ასაცილებლად, არსებითია ციხის თანამშრომლებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირების გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ფორმის თაობაზე.[35] კომიტეტის მომხსენებლის მითითებით, მისაწვდომობის არ არსებობა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ციხის სივრცეებში აწყდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა გონივრული მისადაგების განხორციელება.[36] აღნიშნულზე დაყრდნობით, საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სახელმწიფოებს მოუწოდა, ციხის სივრცეები იმგვარად განალაგონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს, სხვა პატიმართა მსგავსად, ჰქონდეთ წვდომა ყველა სივრცეზე - სანიტარულ ობიექტებზე, გარე სივრცეებზე, აქტივობებისა და ვარჯიშისთვის განკუთვნილ სივრცეებზე, სამედიცინო სერვისზე, **ვიზიტებისთვის განკუთვნილ სივრცეებზე** და სხვ.[37]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული წყაროები ციხის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობას, მეტწილად, პატიმრების პერსპექტივით განიხილავს, ცალსახაა, რომ **კონვენციით დადგენილი სტანდარტები, მათ შორის, მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების კონტექსტში, ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება პენიტენციურ დაწესებულებებზე, მათი დახურული ბუნების მიუხედავად. ამავდროულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი გარემო უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ვიზიტებისათვის განკუთვნილ სივრცეებზე.**

---

[32] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF GRIMAILOVS v. LATVIA*, პარ. 157.

[33] იქვე, პარ. 161.

[34] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავისუფლებააღკვეთილი პირები ევროპაში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის მომხსენებლის ანგარიში, Doc. 14557, 2018, შეჯამება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Yljbp9

[35] იქვე.

[36] იქვე, გვ. 8, პარ. 15.

[37] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2223 (2018), პარ. 7.8.2, ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/pdf/adc3f3711fc5a9181335c90bb64acc22065d43470056f268ad3b4663b35787ce/resolution%202223.pdf

პენიტენციური დაწესებულებების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობითაც. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის თანახმად: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა ჰქონდეს მის სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები; პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოს მიმოწერისათვის საჭირო შესაბამისი საშუალებებით; სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული პირის შეზღუდული შესაძლებლობები.[38]

შესაბამის გარანტიებს შეიცავს უშუალოდ N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებაც, რომელიც დაწესებულების ერთ-ერთ ფუნქციად გამოჰყოფს დაწესებულებაში განთავსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვას, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით.[39] ამასთან, დებულებით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, საჭიროების შემთხვევაში, ამა თუ იმ ინფორმაციის შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტის მონაწილეობით მიწოდების მექანიზმი.[40] დებულება შეიცავს პატიმრობის კოდექსის მსგავს დანაწესებს საყოფაცხოვრებო და კვების პირობებთან მიმართებით.[41] საინტერესოა ისიც, რომ დაწესებულების დებულებაში გვხვდება ისეთი ჩანაწერიც, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შეხვედრაზე შემსვლელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებსაც და მიანიშნებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხელჯოხის შეტანის აკრძალვა მათზე არ ვრცელდება.[42] თავის მხრივ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს ან/და მაღაზიაში შეიძინოს და კანონიერად გამოიყენოს გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის განკუთვნილი ეტლი.[43]

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებლისა) ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები.[44] აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დამტკიცებული „მისაწვდომობის

---

[38] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 15, პუნ. 5; მუხ. 23, პუნ. 4; მუხ. 16, პუნ. 3; მუხ. 57[1], პუნ. 17.

[39] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 3, პუნ. 2(„მ“).

[40] იქვე, მუხ. 15, პუნ. 15; მუხ. 16, პუნ. 21.

[41] იქვე, მუხ. 35, პუნ. 9; მუხ. 37, პუნ. 5.

[42] იქვე, დანართი N5, პუნ. 15.

[43] იქვე, დანართი N2, პუნ. 16; დანართი N3, პუნ. 18.

[44] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხ. 85, პუნ. 1.

ეროვნული სტანდარტები“, რომლის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შესაძლებლობა მისცეს, დამოუკიდებლად მიუახლოვდეს, შევიდეს და გამოიყენოს ადგილი, საშუალება, შენობა ან ელემენტი,[45] კარის, გზა-კარებისა და სხვა ზოგად ელემენტებთან ერთად, ცალკე ქვეთავს შეიცავს *დაკავების საკნებისა* და *საცხოვრებელი საკნების* შესახებ.[46] აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მარეგულირებელი დებულებები ეხება მის გამოყენებას: თითოეული შენობის და დაკავებულობის ტიპისთვის; ახალი მშენებლობის, გადაკეთებების, დროებითი მისაწვდომი საშუალებების და <u>არსებული შენობებისთვის</u>.[47] თავის მხრივ, ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის, არსებულ შენობებად მიიჩნევა ტექნიკური რეგლამენტის მიღებამდე აშენებული შენობები ან შენობა, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა.[48]

ამდენად, **მისაწვდომობის სტანდარტები საქართველოს სპეციალური კანონმდებლობის ფარგლებშიც, ვრცელდება პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურაზე**.

3.2. პაემნის უფლება და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

მისაწვდომობა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისთვის.[49] სწორედ ამიტომ, სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ შშმ პირთა წვდომა ფიზიკურ გარემოზე, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ჭრილში განიხილება.[50]

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ უფლებების იდენტიფიცირებასაც, რომელთა რეალიზებაშიც პენიტენციურ დაწესებულებაში, ვიზიტებისთვის განკუთვნილ და მასთან მისასვლელ სივრცეებში მისაწვდომი გარემოს არ არსებობის შემთხვევაში, ხელი ეშლება, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვიზიტორს, ხოლო, მეორე მხრივ - პატიმარს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვენლობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად[51] (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული **პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება**). ამავდროულად, პირის კავშირი და ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და *ახლო წრესთან* **პირადი ცხოვრების**

---

[45] „ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების დანართი, ქვეთავი 102.1.
[46] იქვე, ქვეთავი 806.
[47] იქვე, ქვეთავი 201.
[48] იქვე, ქვეთავი 106.5.
[49] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2 (2014) მისაწვდომობის შესახებ, CPRD/G/GC/2, პარ. 12.
[50] იქვე, პარ. 34.
[51] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე: *საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, პარ. 21.

შემადგენელ უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს ისევე, როგორც **ოჯახური ცხოვრება,** რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის დაცული და რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებას, განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან.[52] პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს, აგრეთვე, კონვენცია და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი.[53]

ამდენად, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობის შეზღუდვა მათ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას უკავშირდება.**

მეორე მხრივ, პაემნის უფლება ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის კანონმდებლობით პირდაპირ მინიჭებულ უფლებას წარმოადგენს[54] და ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების რეალიზებასთან ერთად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაციის აკრძალვის პრინციპს უკავშირდება.[55]

ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების თანახმად,[56] *თავისუფლების აღკვეთის პირობებში მყოფი პირისთვის, ოჯახური კავშირები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ოჯახის წევრები სასიცოცხლო ემოციური და მატერიალური მხარდამჭერის როლს ასრულებენ. პატიმრობისას, ოჯახთან კონტაქტი პატიმარსა და გარე სამყაროს შორის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს და, ხშირად, <u>უფლებების დაცვის გარანტიის</u> ფუნქციაც შეიძლება შეასრულოს.* ***ოჯახური ვიზიტები უფლებაა და არა - პრივილეგია*** *და აღნიშნული უფლების დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობას, არამედ - გათვალისწინებული უნდა იყოს არაერთი ელემენტი - მაგალითად, ვიზიტისთვის <u>შესაბამისი ფიზიკური პირობების უზრუნველყოფა</u> და კონკრეტული საჭიროებების ან მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პატიმრების მხედველობაში მიღება. ამასთან, ვიზიტორებს ციხის პერსონალი უნდა მოეპყროს პატივისცემით დაწესებულებაში მისვლის მომენტიდან დაწესებულების დატოვებამდე, რაც გულისხმობს, მათ შორის, მაგალითად, სათანადო მოსაცდელი სივრცით უზრუნველყოფას. <u>შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ ყველა შესაძლო ღონისძიება ვიზიტის მიზნებისთვის სათანადო სივრცეების უზრუნველსაყოფად</u> და თუ აღნიშნული შეუძლებელია, ვიზიტები უნდა განხორციელდეს პატიმრების საცხოვრებელი სივრცეებისგან განსხვავებულ ლოკაციებზე.* ***შეუსაბამო გარემო პირობებმა, შესაძლოა, ოჯახს ვიზიტებისგან თავის შეკავებისკენ უბიძგოს, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს პატიმრის***

---

[52] იქვე, პარ. 5-6, 12-13.

[53] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 22-23; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 1, პუნ. „ა", მუხ. 4, პუნ. 4, მუხ. 13.

[54] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 14, პუნ. 1(„ა.გ").

[55] იქვე, მუხ. 17, პუნ. 1.

[56] იხ. წამების პრევენციის ასოციაცია (APT): http://www.apt.ch/en/knowledge-hub/detention-focus-database/contacts-outside-world/family-visits

შესაძლებლობაზე, შეინარჩუნოს ოჯახური კავშირები. ამასთან, პენიტენციურმა სამსახურებმა უნდა გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არსებული ბარიერები და ჰქონდეთ მათთვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისკენ მიმართული პოლიტიკა.

შესაბამისი დოკუმენტები ხაზს უსვამს, რომ **ოჯახთან კონტაქტის უფლება უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე** და ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ადგილზე ფუნქციონალური სისტემების არსებობა. მათ შორის, ციხის დაგეგმვის ეტაპზე, წინასწარ უნდა განისაზღვროს, მაგალითად, ციხის ტელეფონების, საფოსტო ყუთების, ბიბლიოთეკების და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების ადგილმდებარეობა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.[57] ყურადღება მახვილდება უშუალოდ პაემნებისთვის განკუთვნილ გარემოზეც, აღინიშნება რა, რომ მსჯავრდებულთა და მნახველთა კონსულტირებით, ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გააუმჯობესოს პაემნებისთვის განკუთვნილი გარემო, რომელიც უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად, კომფორტული.[58] ციხის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სწავლება მნახველებთან მოპყრობის საკითხებზე.[59] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა ოფისი პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ***ციხის ვიზიტების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პატიმრების და მნახველებისთვის პაემნისთვის განკუთვნილი სივრცის თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.***[60]

გარე სამყაროსთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პატიმრის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში, ვინაიდან ოჯახთან შინაარსიანი ურთიერთობა ეხმარება ინდივიდებს, წარმოიდგინონ მათი ცხოვრება გათავისუფლების შემდეგ და ეხმარება მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაში; ამას გარდა, ურთიერთობები პატიმრებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ოჯახთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და გადაწყვეტილებებში, რაც ამცირებს მათი იზოლირებულობის ხარისხს და ზრდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ფარგლებს.[61] მსგავსი კონტაქტები მნიშვნელოვანია პატიმართა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხითაც.[62]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საკითხი შეფასდეს როგორც მნახველის უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით, ასევე - პატიმრის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის პრინციპის**

---

[57] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), გვ. 135, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/ODIHR_MR_Guidance_Doc_Georgian_AW_WEB_MR.pdf

[58] იქვე, გვ. 136.

[59] იქვე.

[60] იქვე, გვ. 142, პარ. 88.

[61] იქვე გვ. 127, პარ. 02-03.

[62] იქვე, გვ. 128.

დაცვის კონტექსტში. ერთი მხრივ, **ცალსახაა, რომ საერთაშორისო წყაროები ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ ციხის პაემნების უფლებრივ მნიშვნელობას ოჯახურ შეხვედრებში მონაწილე ორივე მხარის პერსპექტივით და პირდაპირ მიუთითებენ <u>კონკრეტულ ვალდებულებებზე, რომლებიც ციხის ადმინისტრაციას მნახველების მიმართ გააჩნია (მათ შორის, ფიზიკური შეზღუდვის მქონე მნახველებისთვის პაემნისთვის განკუთვნილი სივრცის თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა).</u>** მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუკი პატიმარი ვერ შეძლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრთან შეხვედრას დაწესებულებაში არსებული ფიზიკური და სხვა სახის ბარიერების გამო, შესაძლოა, იგი თავადაც დაექვემდებაროს დისკრიმინაციას. კერძოდ, შეიძლება სახეზე იყოს **ასოციაციით დისკრიმინაციის შემთხვევა,** რაც გულისხმობს, რომ საფუძველი, რის გამოც თანაბარ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს არათანაბრად, უსამართლოდ, არასახარბიელოდ ეპყრობიან იმ პირს უკავშირდება, რომელთანაც იგი ასოცირდება.[63] დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა განსაკუთრებით რელევანტურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულება მოიცავს შშმ ადამიანებს და მათთან ასოცირებულ პირებს.[64] ამდენად, პენიტენციურ დაწესებულებაში მისაწვდომი ფიზიკური გარემოს არარსებობის შემთხვევაში, პატიმარმა, რომლის ოჯახის წევრიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა, შესაძლოა, სხვა პატიმრების თანასწორად, ვერ შეძლოს პაემნის უფლების განხორციელება და შედეგად, სხვა პატიმრებთან მიმართებით, ასოციაციით დისკრიმინაციას დაექვემდებაროს.

3.3. გონივრული მისადაგების ვალდებულება

როგორც ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი წყაროები მიუთითებს, თავისუფლების აღკვეთის ადგილებთან შემხებლობაში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და მისაწვდომობის პრინციპებთან ერთად, უდიდეს მნიშვნელობას იძენს გონივრული მისადაგების პრინციპი. აღნიშნულს კი, ის გარემოება განაპირობებს, რომ არსებული პენიტენციური დაწესებულებების მშენებლობისას, შესაძლოა, მისაწვდომობის საკითხები სათანადოდ ან საერთოდ არ ყოფილიყო გათვალისწინებული. ამგვარ მოცემულობაში, რაც სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების კუთხით არსებულ რეალობასაც წარმოადგენს, მისაწვდომობის ეტაპობრივ განხორციელებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. თუმცა, აღნიშნული ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ კერძო სამართლის სუბიექტებს არ ათავისუფლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და არსებული ბარიერების აღმოფხვრის ვალდებულებისგან. ამ ხნის განმავლობაში **(მისაწვდომობის ეტაპობრივი განხორციელების პერიოდში) პირთან მიმართებით შეიძლება**

---

[63] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა და კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის გზამკვლევი, დისკრიმინაციის აკრძალვა, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2020, გვ. 12/64-13/64, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZntM4p

[64] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 17, პარ. 20.

გამოიყენონ გონივრული მისადაგება, რადგან ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ შესასრულებელი მოვალეობაა.[65]

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად: ***გონივრული მისადაგება არის პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში.*** „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს მე-2 მუხლის მე-3[3] პუნქტის მიხედვით კი, **გონივრულ მისადაგებაზე უსაფუძვლო უარი დისკრიმინაციას წარმოადგენს.**

საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე, გონივრული მისადაგება გულისხმობს **აუცილებელი და სათანადო მოდიფიკაციების და კორექტივების მიღებას** კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ისინი შშმ პირს უცილებლად ესაჭიროება საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის.[66] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, მისადაგების გონივრულობა მიემართება მის <u>რელევანტურობას, სათანადოობასა და ეფექტიანობას შშმ პირისათვის</u> - **მისადაგება გონივრულია, თუ აღწევს მიზანს (ან მიზნებს), რომლისთვისაც შემუშავდა და შეესაბამება შშმ პირის მოთხოვნებს.**[67] აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმცხადებელთან მოლაპარაკების საჭიროებას და აღნიშნავს, რომ <u>ვალდებულების მქონე პირს ეკისრება შშმ პირთან **დიალოგის პასუხისმგებლობა**</u>.[68] *გონივრული მისადაგება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მომენტიდან, როდესაც შშმ ადამიანი მოითხოვს მიუწვდომელ სიტუაციებსა თუ გარემოზე წვდომას, ან მოისურვებს საკუთარი უფლებების რეალიზაციას.*[69]

ამავდროულად, გონივრული მისადაგების ნორმატიული შინაარსი უზრუნველყოფს, რომ ვალდებულების მქონე პირს **დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეები** არ ეკისრებოდეს.[70] კომიტეტის განმარტებით, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაუძლეველი ან გაუმართლებელია მისადაგება, აუცილებლად მოითხოვს მიზნების, ანუ **განსახილველი უფლებით სარგებლობისა და გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობის შეფასებას**.[71] შესაძლო განსახილველ ფაქტორებს შორისაა: ფინანსური ხარჯები, არსებული რესურსები, მიმსადაგებელი მხარის ზომა (მთლიანობაში), ინსტიტუტსა ან კომპანიაზე ცვლილების

---

[65] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 42.
[66] იქვე, პარ. 25.
[67] იქვე, პარ. 25(a).
[68] იქვე, პარ. 24(b).
[69] იქვე.
[70] იქვე, პარ. 25.
[71] იქვე, პარ. 26(d).

ზეგავლენა, მესამე მხარის სარგებელი, უარყოფითი ზეგავლენა სხვა პირებზე და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გონივრული მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ **მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს ვალდებულების მქონე პირს, რომელიც განაცხადებს, რომ მასზე დაკისრებული სირთულეები დაუძლეველი და გაუმართლებელია.**[72]

გონივრული მისადაგების მაგალითებია, მათ შორის, არსებული ობიექტების მისაწვდომობა შშმ პირისათვის, მოწყობილობების შეცვლა, დამხმარე პერსონალის წვდომა.[73] საპირისპიროდ, თანმხლები პირისთვის უარის თქმა ან შშმ პირისთვის სხვა ფორმით მისადაგებაზე უარის თქმა გონივრულ მისადაგებაზე უარის შემთხვევებია.[74]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქმის განხილვის ფარგლებში, დადგინდეს: **1) არის თუ არა ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის N11-ში მდებარე პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N8 დაწესებულებაში (ნაწილი) უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვიზიტორებისთვის მისაწვდომი გარემო (დაწესებულების შესასვლელის, პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცისა და დამაკავშირებელი გასასვლელების ჩათვლით); 2) მისაწვდომი ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა განმცხადებლის შვილთან შეხვედრის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი გონივრული მისადაგების გზით.** ამ კუთხით, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხარეთა შორის წარმოებულ კომუნიკაციაზე, დაწესებულების მიერ შეთავაზებული თუ უზრუნველყოფილი საშუალებების სათანადოობასა და ეფექტიანობაზე; უნდა შეფასდეს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ მისადაგების ღონისძიებებზე უარის თქმის პროპორციულობა მოსარჩელის მიერ პაემნით სარგებლობასა და, შესაბამისად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებითა და პირადი და ოჯახური ცხოვრებით უფლებებით სარგებლობასთან მიმართებით და აღნიშნულის უარყოფითი ზეგავლენა მოსარჩელის შვილზე (მსჯავრდებულზე).

3.4. საქმისათვის რელევანტური ფაქტობრივი გარემოებები

სამწუხაროდ, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს გაუზიაროს კონკრეტულად, N8 დაწესებულების (ნაწილის) მისაწვდომობის და, მათ შორის, ვიზიტორთათვის შეხვედრების ოთახების მისაწვდომობის კუთხით არსებული უახლესი ფაქტობრივი ინფორმაცია. თუმცა, სასამართლოს, შესაძლოა, გარკვეულწილად, დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ შშმ პირთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის აღსრულების თაობაზე 2023 წლის 17 თებერვალს წარდგენილ ალტერნატიული ანგარიშში ასახული მიგნებები. ანგარიშის თანახმად, არასაკმარისია პენიტენციურ სისტემაში შშმ პირთა უფლებების რეალიზებისთვის მიღებული ზომები; **პრობლემურია**

[72] იქვე, პარ. 26(g).
[73] იქვე, პარ. 23.
[74] იქვე, პარ. 18(c).

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა, როგორც შეღწევადობის, ისე, კონკრეტულ სივრცეებზე (მაგ. შეხვედრების ოთახი) შშმ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების წვდომის ჭრილში, რაც უხეშად არღვევს შშმ პირთა უფლებებს და ქმნის ბარიერებს ადვოკატთან კომუნიკაციის პროცესშიც.[75] აღნიშნული, ასევე, დამაბრკოლებელია მონიტორინგის მიზნებისთვის, რაც ნათლად გამოვლინდა, როდესაც არასრულყოფილი ადაპტირების გამო, N18 **პენიტენციურ დაწესებულებაში ვერ მოხერხდა სახალხო დამცველის აპარატის მისაწვდომობის ექსპერტის, ეტლით მოსარგებლე პირის შესვლა.** კერძოდ, 2021 წლის 5 მარტს, წარმოებაში არსებული საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა (აპარატის თანამშრომელმა და მისაწვდომობის ექსპერტმა) ვიზიტი განახორციელეს N18 პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა, **ეტლით მოსარგებლე ექსპერტი შენობაში დამოუკიდებლად ვერ შევიდა**.[76] გასათვალისწინებელია, რომ მსგავსმა გარემოებებმა, შესაძლოა, დაბრკოლებები შექმნას ეტლით მოსარგებლე ადვოკატის შეღწევადობის მიმართულებითაც, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების ხელმისაწვდომობაზეც.

3.5. მტკიცების ტვირთის განაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში

გარდა ამისა, სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად გადაწყვიტოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი, რათა გარანტირებული იყოს სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის სწორი შეფასება.

დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას სახელმძღვანელო ნორმებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე[3] კარი. 363[3]-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი არ გულისხმობს მხარისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის იმ მოცულობით დავალდებულებას, რაც საჭიროა შემდგომ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ვარაუდის წარმოსაშობად, მნიშვნელოვანია, მხარემ წარმოადგინოს იმ ფაქტებისა და ობიექტურად მოპოვებადი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და ობიექტური დამკვირვებლისთვის წარმოშობს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ვარაუდს რაიმე ნიშნით. ამდენად, დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა არახელსაყრელ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა

---

[75] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ალტერნატიული ანგარიში გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტში საქართველოს მიერ წარდგენილ პირველ პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით, 2023, პარ. 36, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mqHZPf

[76] იქვე, სქოლიო 53.

კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს არახელსაყრელი მოპყრობის არარსებობა ან წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს არახელსაყრელი მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.[77] ამ კუთხით, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ყველა იმ საკითხზე, რაც გონივრული მისადაგების პრინციპთან დაკავშირებით 3.3 ქვეთავში აღინიშნა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, გამყარებულია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის ისეთი დასკვნებით, რომლებიც, შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა განმარტებებიდან; **მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ძლიერი, ნათელი და ურთიერთშესაბამისი დასკვნების ერთობლიობიდან** ან ფაქტის გაუქარწყლებელი დაშვებებიდან.[78] მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეში, ციხეში არსებული არასათანადო ინფრასტრუქტურის თაობაზე განმცხადებლის საჩივარი სასამართლომ დასაშვებად სცნო იმაზე დაყრდნობით, რომ საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ წარდგენილი აღწერები იყო საკმარისად დეტალური და გამოკვეთდა მისი სასარჩელო საფუძვლების არსობრივ კავშირს დაწესებულებასთან მიმართებით.[79]

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც, იგი აღნიშნავს, რომ შვილთან შეხვედრა ვერ შეძლო, ვინაიდან, დაწესებულებაში არ იყო უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლეთათვის მისაწვდომი გარემო ან პერსონალური დამხმარის თანხლების შესაძლებლობა. ხოლო, დაწესებულების მიერ შეთავაზებული ალტერნატივა ღირსების შემლახველ და საფრთხის შემცველ ხასიათს ატარებდა. შემდგომი ვიზიტები კი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმის თანხლებით განხორციელდა. საგულისხმოა მოსარჩელის მითითებაც იმის თაობაზე, რომ მან მნიშვნელოვანი ხარჯი გაიღო საცხოვრებელი ადგილიდან (აჭარა) პენიტენციურ დაწესებულებამდე მგზავრობისთვის, რის გამოც, რთულად წარმოსადგენი იქნებოდა, რომ შვილის სანახავად დაწესებულებაში შესვლაზე უარი თავად განეცხადებინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ, შესაძლოა, მიიჩნიოს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები წარმოშობს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარმოეშობა ასეთი ვარაუდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363^3-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცების ტვირთი გადავა მოპასუხე მხარეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს მოუწევს იმის მტკიცება, რომ დაწესებულებაში

---

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-247-235-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-142-134-2017.

[78] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA*, პარ. 147.

[79] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF GRIMAILOVS v. LATVIA*, პარ. 136.

უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი გარემო ან მან მოსარჩელის მიმართ განახორციელა გონივრული მისადაგება ან გონივრული მისადაგება მისთვის წარმოშობდა დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენასაც მოითხოვს, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასამართლომ გამოიყენოს მტკიცებულებათა შეგროვების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმები. მათ შორის, ადგილზე დათვალიერება ან/და ექსპერტიზის დანიშვნა. კოდექსის 162-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს **მისაწვდომობის ექსპერტის დასკვნას**.

გონივრული მისადაგების ღონისძიებების სათანადოობისა და სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის შეფასებისთვის, მხარეთა პოზიციებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი რელევანტურად მიიჩნევს იმ სტანდარტების მხედველობაში მიღებასაც, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა აუცილებლად დისკრიმინაციული განზრახვის არსებობას არ მოითხოვს და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მიზნებისთვის, არარელევანტურ გარემოებას წარმოადგენს.[80] ანალოგიურად, ღირსების შელახვა შეიძლება განხორციელდეს როგორც გამიზნულად, ისე - შედეგობრივად.[81] ამასთან, კონვენციას არ შეესაბამება ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს ქველმოქმედებითი მოდელის კუთხით უდგება.[82] მნიშვნელოვანია იმ დამოკიდებულებითი ბარიერების გადალახვა, რომელთა ფარგლებშიც, მაგალითად, შშმ პირები საზოგადოების ტვირთად აღიქმებიან.[83] საპირისპიროდ, აუცილებელია, **ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით** ხელმძღვანელობა, რომლის მიხედვითაც, თემსა და საზოგადოებაში არსებული ბარიერები უფრო იწვევს იზოლირებას, ვიდრე - დარღვევები.[84] აღნიშნული მიდგომა შეზღუდულ შესაძლებლობებს სოციალურ კონსტრუქციად, იდენტობის მრავალი შრიდან ერთ-ერთად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დარღვევა არ უნდა ითვლებოდეს ლეგიტიმურ საფუძვლად ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ან მათზე უარის თქმისათვის.[85]

---

[80] დისკრიმინაციის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2018, გვ. 239, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HSPJ2Z;

[81] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 18(d).

[82] იქვე, პარ. 2.

[83] იქვე.

[84] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, CPRD/C/GC/4, 25.11.2016, პარ. 4(a).

[85] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 9.

გარდა ამისა, ამ მოდელის მიხედვით, ადამიანის უფლებები ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელია.[86]

4. დასკვნა

განხილული სამართლებრივი სტანდარტებიდან გამომდინარე,

- მოსარჩელემ უნდა წარმოშვას გონივრული ვარაუდი, რომ ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის N11-ში მდებარე პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N8 დაწესებულებაში (ნაწილი) არსებული არამისაწვდომი გარემოს ან/და სათანადო გონივრული მისადაგების მიუღებლობის გამო, პენიტენციურ დაწესებულებაში ოჯახის წევრთან შეხვედრის შესაძლებლობა შეეზღუდა;
- მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ:
    - დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვიზიტორებისთვის მისაწვდომი გარემო (დაწესებულების შესასვლელის, პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცისა და დამაკავშირებელი გასასვლელების ჩათვლით) და განმცხადებელს არ შეზღუდვია ოჯახის წევრთან შეხვედრის შესაძლებლობა. სასამართლომ, შესაძლოა, განიხილოს მისაწვდომობის ექსპერტის დასკვნის მიღების საკითხიც;
    - მისაწვდომი ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევაში - განმცხადებლის შვილთან შეხვედრის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო გონივრული მისადაგების გზით. ამ კუთხით, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხარეთა შორის წარმოებულ კომუნიკაციაზე, დაწესებულების მიერ შეთავაზებული თუ უზრუნველყოფილი საშუალებების სათანადოობასა და ეფექტიანობაზე და დაწესებულების თანამშრომლების კვალიფიციურობაზე. ამ მხრივ, უნდა გაქარწყლდეს, მათ შორის, განმცხადებლის მითითებები იმის თაობაზე, რომ დაწესებულების მიერ შეთავაზებული ალტერნატივა ღირსების შემლახველ და საფრთხის შემცველ ხასიათს ატარებდა. შემდგომი ვიზიტები კი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმის თანხლებით განხორციელდა;
    - გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის შემთხვევაში - გონივრული მისადაგება წარმოშობდა დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და მისადაგების ღონისძიებებზე უარის თქმა პროპორციული იყო მოსარჩელის მიერ პაემნით სარგებლობასა და, შესაბამისად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებითა და პირადი და ოჯახური ცხოვრებით უფლებებით სარგებლობასთან მიმართებით. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, აღნიშნულის უარყოფითი ზეგავლენა მოსარჩელის შვილზე (მსჯავრდებულზე).

[86] იქვე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,